



კვირის მიმოხილვა

კვირის მიმოხილვა | საქართველო
9 აგვისტო 2021

ეკონომიკა

საკრედიტო რეიტინგი: სარეიტინგო სააგენტო Fitch-მა კვლავ დაადასტურა საქართველოს სუვერენული საკრედიტო რეიტინგი BB დონეზე, ხოლო რეიტინგის პერსპექტივა ნეგატიურიდან სტაბილურამდე გააუმჯობესა 2021 წლის 6 აგვისტოს. რეიტინგის პერსპექტივის გაუმჯობესების მთავარ მიზეზად, სააგენტო ასახელებს მოსალოდნელზე სწრაფ ეკონომიკურ აღდგენას და გონივრულ მაკროეკონომიკურ პოლიტიკას. სარეიტინგო კომპანიის შეფასებით, მიუხედავად პანდემიით განპირობებული მნიშვნელოვანი ზიანისა, საქართველომ შეძლო საგარეო შოკთან კარგად გამკლავება. Fitch-ის მიხედვით საქართველოს ეკონომიკის გაჯანსაღება შთამბეჭდავი ტემპებით მიმდინარეობს, 2021 წლის იანვარ-ივნისში ეკონომიკურმა ზრდამ 12.7% შეადგინა. მოსალოდნელზე მაღალი ეკონომიკური აქტივობის ფონზე, Fitch-მა 2021 წლის ეკონომიკური ზრდის პროგნოზი 4.3%-იდან 7.8%-მდე გაზარდა, რაც გულისხმობს, რომ ეკონომიკური აქტივობა გადააჭარბებს 2019 წლის დონეს. სარეიტინგო კომპანიის შეფასებით, 2022-2023 წლებში, ტურიზმის სწრაფი აღდგენის და ინვესტიციების ზრდის ფონზე, ეკონომიკური ზრდა საშუალოდ 5.4% იქნება. სარეიტინგო სააგენტოს შეფასებით, ეკონომიკური ზრდის რისკებს ეპიდემიოლოგიური მდგომარეობა, ვაქცინაციის ტემპი და ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები წარმოადგენს.

ინფლაცია: საქსტატის მონაცემებით, 2021 წლის ივლისში სამომხმარებლო ფასების წლიურმა ინფლაციამ 11.9% შეადგინა ივნისის 9.9%-იანი ინფლაციის შემდეგ. ამასთან, საბაზო ინფლაციამ, რომელიც კალათიდან გამორიცხავს სურსათის, ენერგომატერიალების და თამბაქოს ფასებს 6.3% შეადგინა. წლიური ინფლაციის ფორმირებაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებში: სურსათი და უალკოჰოლო სასმელები (+14.1%), ტრანსპორტი (+22.5%), საცხოვრებელი, წყალი, ელ. ენერგია, აირი (+11.1%), ჯანმრთელობის დაცვა (+11.4%), ავეჯი, საოჯახო ნივთები, სახლის მოვლა (+11.5%) და ალკოჰოლური სასმელები და თამბაქო (+7.1%). ამასთან, 2021 წლის ივლისში წინა თვესთან შედარებით ადგილი ჰქონდა 1.3%-იან ინფლაციას, რაც ძირითადად გამოიწვია ფასების ზრდამ სურსათი და უალკოჰოლო სასმელების (+3.2%) კატეგორიაში.

მონეტარული პოლიტიკა: საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა 2021 წლის 4 აგვისტოს რეზინანსირების განაკვეთი 0.5 პროცენტული პუნქტით 10%-მდე გაზარდა. ბანკის ინფორმაციით საქართველოში ივლისის წლიურმა ინფლაციამ მოულოდნელად მაღალი, 11.9% შეადგინა. ეროვნული ბანკის თანახმად ინფლაციის ზრდაზე მოქმედი მთავარი ფაქტორებია მსოფლიო ბაზრებზე სურსათისა და ნავთობის მკვეთრად გაზრდილი ფასები. იმისათვის, რომ დროებითი ფაქტორების შედეგად ფასების ზრდამ ინფლაციის მოლოდინებზე გრძელვადიანად არ მოახდინოს გავლენა, ეროვნული ბანკი ხანგრძლივად შეინარჩუნებს მკაცრ პოლიტიკას ან/და, საჭიროების შემთხვევაში, დამატებით გაამკაცრებს მას. არსებული პროგნოზით, 2022 წელს ინფლაცია შემცირებას დაიწყებს. მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის შემდეგი სხდომა 2021 წლის 15 სექტემბერს ჩატარდება.


საერთაშორისო რეზერვები: საქართველოს ეროვნული ბანკის თანახმად, 2021 წლის ივლისში ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები წლიურად 0.8%-ით გაიზარდა და 3.9 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო წინა თვესთან შედარებით რეზერვები 1.2%-ით შემცირდა (-45.7 მლნ აშშ დოლარი). რეზერვების ცვლილება უკავშირდება მთავრობის და საბანკო სექტორის სავალუტო ოპერაციებს, და/ან აქტივების გადაფასებას.

ეკონომიკური ინდიკატორები

	2018	2019	2020
მშპ (%-ლი ცვლილება)	4.8%	5.0%	-6.2%
მშპ ერთ სულზე (ppp)	14,584	15,613	14,918
მშპ ერთ სულზე (აშშ \$)	4,722	4,696	4,275
მოსახლეობა (მლნ)	3.7	3.7	3.7
ინფლაცია, პერიოდის ბოლო	1.5%	7.0%	2.4%
მთლიანი რეზერვები (მლრდ აშშ \$)	3.3	3.5	3.9
მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი (მშპ-ს %)	6.8%	5.5%	12.5%
ფისკალური დეფიციტი (მშპ-ს %)	2.3%	2.1%	9.3%
სახელმწიფო ვალი (მშპ-ს %)	38.9%	40.4%	60.0%

წყარო: ოფიციალური მონაცემები

მშპ-ს რეალური ზრდა, %



წყარო: საქსტატი

საერთაშორისო რეიტინგები, 2019-21

- ბიზნესის კეთების სიმარტივე №7 (საუკეთესო 10-ეული)
- ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი №12 (ძირითადად თავისუფალი)
- გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი №74

წყარო: მსოფლიო ბანკი, Heritage Foundation და მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი

საქართველოს სუვერენული საკრედიტო რეიტინგი

 BB უარყოფითი დადებითი თვებრუნვა-2021	 Ba2 სტაბილური დადებითი მასი-2021	 BB სტაბილური დადებითი აგვისტო-2021
--	--	--

წყარო: სარეიტინგო სააგენტოები



ფულადი ბაზარი


საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებები: საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ 2021 წლის 3 აგვისტოს 2-წლიანი 20 მლნ ლარის (6.4 მლნ აშშ დოლარის) ოდენობის ბენჩმარკ ბონდები გაყიდა. ამასთან, მოთხოვნა დაახ. 3.4-ჯერ მაღალი იყო და საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი წინა აუქციონთან შედარებით 0.178პპ-ით შემცირდა და 8.840% შეადგინა. ასევე, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ 2021 წლის 3 აგვისტოს 6-თვიანი 15 მლნ ლარის (4.8 მლნ აშშ დოლარის) ოდენობის სახაზინო ვალდებულებები გაყიდა. ამასთან, მოთხოვნა დაახ. 1.5-ჯერ მაღალი იყო და საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი წინა აუქციონთან შედარებით 0.020პპ-ით გაიზარდა და 9.385% შეადგინა. უახლოესი აუქციონი დაგეგმილია 2021 წლის 10 აგვისტოს, სადაც 1-წლიანი 15 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სახაზინო ვალდებულებები გაიყიდება.

სახაზინო ფასიანი ქაღალდები, 2021 წელი

ვალიანობა	გამოშვება წლის დასაწყისიდან მლნ ლარი	დარჩენილი გამოშვება მლნ ლარი	დარჩენილი ვალდებულება*
6-თვე	90	75	60
1-წელი	75	90	360
2-წელი	120	100	1,310
5-წელი	259	175	2,412
10-წელი	69	25	1,281
სულ	613	465	5,422


წყარო: ფინანსთა სამინისტრო
შენიშვნა: * 2021 წლის 30 ივნისის მდგომარეობით

სახაზინო ფასიანი ქაღალდების შემოსავლიანობის მრუდი




წყარო: სეზ

განხორციელებული ემისია და მოთხოვნა სახაზინო ფასიანი ქაღალდების ბოლო აუქციონებზე, მლნ ლარი




წყარო: სეზ

მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი, წლიური ინფლაცია და ლარის გაცვლითი კურსი



წყარო: სეზ, სავსტატი

ნომინალური და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსები



წყარო: სეზ

შენიშვნა: ინდექსის ზრდა/კლება ნიშნავს გაცვლითი კურსის გამყარებას/გაუფასურებას




ობლიგაციები

კორპორატიული ვერობლიგაციები: საქართველოს ბანკის ჯგუფის ვერობლიგაცია (GEBGG) დაიხურა 2.44%-იანი შემოსავლიანობით, ფასით 106.78 (+0.04% წინა კვირასთან შედარებით). საქართველოს კაპიტალის ვერობლიგაციებით (GEOCAP) ვაჭრობა დაიხურა ფასით 102.29 (-0.08% წინა კვირასთან შედარებით), 5.16%-იანი შემოსავლიანობით.

საქართველოს რკინიგზის ვერობლიგაცია (GRAIL) ივაჭრებოდა 101.52 ფასად (+0.18% წინა კვირასთან შედარებით), 3.75%-იანი შემოსავლიანობით.

საქართველოს სუვერენული ვერობლიგაცია (GEORG) დაიხურა ფასით 102.29 (+0.20% წინა კვირასთან შედარებით), 2.23%-იანი შემოსავლიანობით.



წყარო: Bloomberg

ქართული ობლიგაციების ძირითადი მონაცემები

ვერობლიგაციები

გამომწვები	ვალუტა	მოცულობა, მლნ აშშ \$	კუპონი	დაფარვის თარიღი	რეიტინგები (Fitch/S&P/Moody/Scope)	საშუალო ფასი	საშუალო პროცენტი, %	Z-spread, bps
GEORG 04/26	USD	500	2.750%	Apr-26	BB/BB/Ba2	102.29	2.23	143.57
GRAIL 06/28	USD	500	4.000%	Jun-28	BB-/B+/-	101.52	3.75	272.76
GEBGG 07/23	USD	350	6.000%	Jul-23	BB-/B/Ba2	106.78	2.44	214.92
GEBGG 11 1/8 PERP	USD	100	11.125%	n/a	B-/B-	110.23	9.00	665.68
GEOCAP 03/24	USD	300	6.125%	Mar-24	-B/B2	102.29	5.16	474.33
SILKNET 04/24	USD	200	11.000%	Apr-24	B-/B1	109.72	6.91	391.55
TBC 06/24	USD	300	5.750%	Jun-24	BB-/B/Ba2	108.58	2.61	213.12
TBC PERP	USD	125	10.775%	n/a	B-/B-	110.61	9.12	643.29
GGU 07/25	USD	250	7.750%	Jul-25	B+/B/-	106.85	5.79	425.36

ადგილობრივი ობლიგაციები

KTW 12/22	USD	10	9.00%	Dec-22	-/-/-	n/a	n/a	n/a
GWP 12/21	GEL	30	12.50%	Dec-21	BB-/B/-	n/a	n/a	n/a
M2CA 12/21	USD	30	7.50%	Dec-21	-/-/-	100.00	7.50	n/a
M2RE 10/22	USD	35	7.50%	Oct-22	-/-/-	100.43	7.20	n/a
GLC 08/22	USD	10	7.50%	Aug-22	-/-/-	n/a	n/a	n/a
GLC 07/23	USD	12	5.75%	Jul-23	-/-/-	n/a	n/a	n/a
GLC 07/23	EUR	3	4.75%	Jul-23	-/-/-	n/a	n/a	n/a
SILKNET 04/24	GEL	34	12.50%	Apr-24	B+/B1/-	n/a	n/a	n/a
Geo. Beer Company	GEL	25	13.00%	Dec-23	-/-/BB-	n/a	n/a	n/a
Lisi Lake Development	USD	12	8.00%	Dec-21	-/-/B+	n/a	n/a	n/a
Tegeta 04/22	GEL	30	10.75%	Apr-22	-/-/BB-	n/a	n/a	n/a
Swiss Capital 09/21	GEL	10	14.25%	Sep-21	B-/B/-	100.00	14.25	n/a
EVEX 11/24	GEL	50	12.10%	Nov-24	-/-/BB	n/a	n/a	n/a

წყარო: Bloomberg




აქციები

საქართველოს ბანკის ჯგუფის (BGEO LN) აქციები დაიხურა 16.54 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), +10.27% წინა კვირასთან შედარებით და +15.66% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 187 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 14.60 - 16.60 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 35 ათასი აქცია შეადგინა.


Georgia Capital-ის (CGEO LN) აქციები დაიხურა 6.22 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), -1.11% წინა კვირასთან შედარებით და -12.76% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 231 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 6.18 - 6.30 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 25 ათასი აქცია შეადგინა.

თიბისი ბანკის ჯგუფის (TBCG LN) აქციები დაიხურა 13.00 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), +7.08% წინა კვირასთან შედარებით და +8.33% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 102 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 11.90 - 13.34 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 22 ათასი აქცია შეადგინა.


საქართველოს ბანკის ჯგუფი (BGEO LN)



თიბისი ბანკის ჯგუფი (TBCG LN)



საქართველოს კაპიტალი (CGEO LN)





აქციები

აღმოსავლეთი ევროპის ბანკები

	ტიკერი	ვალუტა	აქციის ფასი	კაპიტალიზ. მლნ	6 თვე, ცვლ.	წ/წ ცვლ.	წლის დას. ცვლ.	P/E		P/B	
								2021F	2022F	2021F	2022F
Bank of Georgia	BGEO	GBP	16.54	813	41.4%	99.5%	35.6%	6.26x	5.29x	1.29x	1.11x
TBC	TBC	GBP	13.00	717	0.0%	58.7%	4.0%	5.10x	4.40x	0.90x	0.78x
Sberbank	SBER	USD	17.36	93,687	18.9%	42.3%	19.6%	6.20x	5.97x	1.18x	1.07x
Halyk Bank	HSBK	USD	15.46	4,543	18.0%	42.5%	32.7%	4.81x	4.68x	1.14x	1.08x
VTB Bank	VTBR	USD	1.36	8,787	39.9%	39.2%	42.1%	2.44x	3.00x	0.51x	0.41x
Akbank	AKBNK	TRY	5.43	28,236	-17.9%	15.5%	-21.6%	3.53x	2.63x	0.39x	0.35x
Garanti	GARAN	TRY	9.23	38,766	-5.4%	42.7%	-11.0%	3.61x	3.07x	0.53x	0.46x
Isbank	ISCTR	TRY	5.44	24,480	-14.7%	18.0%	-22.3%	2.89x	2.13x	0.32x	0.28x
PKO	PKO	PLN	38.85	48,563	35.8%	77.9%	35.3%	10.67x	10.31x	1.09x	1.04x
PEKAO	PEO	PLN	99.44	26,100	50.7%	88.4%	62.7%	13.53x	11.35x	0.98x	0.94x
Millennium	MIL	PLN	5.21	6,314	34.9%	77.6%	59.2%	7.76x	6.93x	0.80x	0.75x
Mbank	MBK	PLN	320.20	13,566	64.3%	72.2%	78.7%	10.80x	9.61x	0.81x	0.76x
BRD	BRD	RON	18.20	12,684	21.3%	49.9%	22.5%	11.79x	10.38x	1.32x	1.28x
Banca Transilvania	TLV	RON	2.89	16,582	24.8%	49.2%	28.4%	10.31x	9.24x	1.58x	1.47x
OTP	OTPD	USD	22.00	12,320	-1.8%	-3.5%	-3.5%	8.70x	7.91x	0.62x	0.55x
Komercni	KOMB	CZK	826.00	156,981	18.2%	55.0%	25.7%	15.06x	12.89x	1.30x	1.29x
საშუალო								7.72x	6.86x	0.92x	0.85x
მედიანა								7.01x	6.45x	0.94x	0.86x

წყარო: Bloomberg, S&P Capital IQ

ინვესტიციების მართვის შესაძარი კომპანიები

	ტიკერი	ვალუტა	აქციის ფასი	კაპიტალიზ. მლნ	6 თვე, ცვლ.	წ/წ ცვლ.	წლის დას. ცვლ.	P/E		P/B	
								2021F	2022F	2021F	2022F
Georgia Capital	CGEO	GBP	6.22	298	16.9%	63.9%	15.2%	na	na	na	na
Tinc Comm	TINC	EUR	12.54	456	-0.1%	-5.7%	-3.2%	na	na	na	na
Sabancı Holding	SAHOL	TRY	9.73	19,853	-13.0%	24.1%	-15.1%	3.52x	2.90x	0.43x	0.36x
Deutsche Beteiligungs	DBAN	EUR	37.85	569	6.8%	28.5%	21.5%	5.00x	7.72x	1.11x	1.02x
Eurazeo	RF	EUR	87.75	6,934	43.9%	96.5%	58.1%	10.08x	12.90x	1.14x	1.03x
Carlyle Group	CG	USD	47.50	16,842	29.8%	71.5%	51.1%	14.87x	13.72x	4.74x	4.24x
საშუალო								8.37x	9.31x	1.85x	1.66x
მედიანა								7.54x	10.31x	1.12x	1.03x

წყარო: Bloomberg, S&P Capital IQ



მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი არის სს "გალტი ენდ თაგარტი" ("Galt & Taggart"), რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, საკუთრება და მომზადებულია Galt & Taggart-ის მიერ, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწერისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტი ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტი ენდ თაგარტისგან მოეთხოვებათ დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიაჩნიათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთ ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტი ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომზადდა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამომწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტში) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტი ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტი ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმეწარად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტი ენდ თაგარტი არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომზადდა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტი ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამომწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტი ენდ თაგარტის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამომწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტი ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევს, ამ დოკუმენტის საარგებლოდობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტი ენდ თაგარტი და ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნეს-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევაში. შედეგად, ინვესტორებმა უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მედიით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

გალტი ენდ თაგარტი

მისამართი: პუშკინის ქუჩა 3ა, თბილისი, 0105, საქართველო

ტელ: + (995) 32 2401 111

ელ. ფოსტა: gt@gt.ge